ხელშეკრულება №01/06

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 7 სექტემბერი 2017 წელი

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის ``სახელმწიფო შესყიდვების შესახებ`` და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული ``გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის`` მოთხოვნათა შესაბამისად და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. (CPV 30100000; 30200000; 22800000; 24900000; 44400000; 39200000, 19510000.)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია N1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია წარმოდგენილი თავმჯდომარე გიორგი ზირაქაშვილის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, ი.მ გიორგი კანდელაკი ვესტა წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის გიორგი კანდელაკის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მოახდინოს საკანცელარიო საქონელი (შემდგომში „საქონელი')', ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი „საქონელი", და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. „საქონელის" ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 1507.45 (ათას ხუთას შვიდი ლარი და 45 თეთრი)ლარი.

2.2. „საქონელის" მოცულობა (რაოდენობა) და ერთეულის ფასი: მოცემულია დანართში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. „საქონელის" მიღება-ჩაბარება

3.1. „საქონელის" ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ მხარეთა წარმომადგენლები, რომლებიც აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს გაწეული „საქონელის" მიხედვით.

3.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული ,,საქონელის'' .

3.4. ,,საქონელის'' ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის წუნდების მიზეზის მითითებით.

4. ,,საქონელის'' მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 ,,საქონელის'' მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.
4.2,,საქონელის'' მიწოდება ხორციელდება ქ. თბილისი შიო მღვიმელის ქ№1.
4.3. მიწოდებისას ,,საქონელის'' უნდა ახლდეს საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ,,საქონელის'' იქნება ახალი, ხარისხიანი და მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად ,,საქონელის'' შესრულების შემდეგ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში

6.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს 4.2 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით გაწეული ,,საქონელის'' ღირებულების 0,1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი ,,საქონელის'' ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ ,,საქონელის'' მიწოდებისას, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და შეამოწმოს ,,საქონელის'' ხარისხი. კონტროლს ახორციელებს N01 მთაწმინდის თავმჯდომარე გიორგი ზირაქაშვილი.

12.2 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

- გაუწიოს კონტროლი ,,საქონელის'' მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

- განახორციელოს კონტროლი მიწოდებული,,საქონელის'' ხარისხზე და დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული,,საქონელის'' ხელშეკრულების მოთხოვნებს.

- მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული ,,საქონელის'' მიღება.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. ხელის მომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და „საქონელის") მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 20 ნოემბერი.

15.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16.1. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები.

„შემსყიდველი“		„მიმწოდებელი“
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია N01 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია ქ. თბილისი, ლერმონტოვის №12 საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509 ტელ: 292 35 40 საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა №GE97BG0000000631167200 კომისიის თავმჯდომარე გ. ზარაქაშვილი		ი.მ გიორგი კანდელაკი ვესტა ქ. თბილისი,აღმაშენებლის გამზ.55/1 საიდენტიფიკაციო კოდი: 01009005243 ტელ: 2942284 საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა №GE75BG0000000888000801 დირექტორი გ.კანდელაკი

დანართი: 01/06 7 სექტემბერი 2016 წ.

№	საქონლის დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი	თანხა ლარი
1	წებო მშრალი	24910000	45ც	0.40	18.00
2	ჭიკარტი	30197120	80ც	0.65	52.00
3	დაფის მარკერები	30192125	10ც	0.50	5.00
4	სტეპლერები	30197320	50ც	2.00	100.00
5	სტეპლერის ტყვიები	30197110	50ც	0.28	14.00
6	რვეულები	22815000	50ც	0.50	25.00
7	ბურთულიანი თითის დასასველებელი	30197000	100ც	1.70	170.00
8	ბაინდერები	22851000	25ც	2.00	50.00
9	ბლოკნოტები	22816100	15ც	6.00	90.00
10	კატრიჯი	30125100	2ც	35.00	70.00
11	კატრიჯი	30125100	2ც	17.00	34.00
12	შესაკრავი რეზინა	19510000	2ც	1.60	3.20
13	წებოვანი ლენტი (დიდი) სკოჩი	44424200	50ც	0.80	40.00
14	წებოვანი ლენტი (პატარა)	44424200	50ც	0.15	7.50
15	მაკრატელი	39241200	40ც	1.50	60.00
16	საქაღალდე	22852000	60.00	1.35	81.00
17	ფაილები A 3	22852100	5ც	22.00	110.00
18	ფაილები A 4	22852100	50ც	2.75	137.50
19	მეხსიერების ბარათი	30234600	3ც	25.00	75.00
20	ბეჭდის მელანი	30192110	20ც	0.50	10.00
21	საკანცელარიო რვეული	30199000	55ც	0.65	35.75
22	კორექტორი კალამი	30192160	10ც	0.60	6.00

23	ანტისტეპლერები	30197321	10ც	0.60	6.00
24	დანა საკანცელარიო	30197310	40ც	0.30	12.00
25	ჩასანიშნი ქაღალდი ფერადი	30196200	40ც	1.90	76.00
26	ჩასანიშნი ქაღალდი	30196200	40ც	1.30	52.00
27	კალკულატორი	30141000	25ც	4.20	105.00
28	პერმანენტ მარკერი ორმაგი წვერით	39241200	40ც	0.50	20.00
29	ჩასანიშნი წებოვანი ფურცელი	22816300	85ც	0.50	42.50
სულ:					1507.45

„შემსყიდველი“		„მიმწოდებელი“
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია N01 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია ქ. თბილისი, ლერმონტოვის №12 საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509 ტელ: 292 35 40 საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა №GE97BG0000000631167200 კომისიის თავმჯდომარე გ. ზირაქაშვილი		ი.მ გიორგი კანდელაკი ვესტა ქ. თბილისი,აღმაშენებლის გამზ.55/1 საიდენტიფიკაციო კოდი: 01009005243 ტელ: 2942284 საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა №GE75BG0000000888000801 დირექტორი გ.კანდელაკი